MES 1 22 0001159501

26/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 12. 09. 2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:53 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნინოსარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ედვინი სირბილაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კონსტანტინე თოფურია	**შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“**	რექტორი	I
2	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	I
3	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I
5	ნათია კალაძე		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I

6	შალვა ძებისაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი;	I
7	ლელი ბიბილაშვილი		ასოცირებული პროფესორი	I
8	კონსტანტინე თოფურია	**შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“**	რექტორი	II
9	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	II
10	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	II
12	ნათია კალაძე		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	II
13	შალვა ძებისაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი;	II
14	ლელი ბიბილაშვილი		ასოცირებული პროფესორი	II
15	ნინო ჟვანია	**სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV, V
16	ნინო მატარაძე		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	III, IV, V
17	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფსოსი	III, IV, V
18	სალომე გავაშელიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	III, IV, V
19	გიგა ზედანია		პროფესორი პროგრამების ხელმძღვანელი	III, IV, V

20	თამარ ცხადაძე		ასოცირებული პროფესორი	**III, IV, V**
21	სერგო რატიანი		პროფესორი	**III, IV, V**
22	ნინო მატარაძე	**სსიპ - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“**	ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	**VI**
23	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**
24	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფსოსი	**VI**
25	თამარ ცაგარელი		პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**
26	თამარ გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	**VI**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	გიორგი თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III,IV,V
10	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III,IV,V, VI
11	ნინო სილაგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური მმართველობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გლობალური მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი Diplomacy and International Politics
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები/ Political sciences and civics
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ნათია ზედგინიძემ
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი არის 12 რეკომენდაცია და ასევე რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. მისი თქმით, პირველი და მეორე რეკომენდაცია ეხება პროგრამის მიზნებს და შედეგებს. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მოცემული რეკომენდაციები არ გულისხმობს რომ პროგრამას პრობლემა აქვს მიზნებთან და შედეგებთან მიმართებაში. რეკომენდაციაში ხაზგასმული იყო, რომ ეს ეხებოდა რეფორმურირებაზე გაცემულ რეკომენდაციებს. აგრეთვე მან ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის მიზნებში და შედეგებში უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს ის საკითხები, რაც უზრუნველყოფილია თვითონ პროგრამის სტრუქტურით, რაც გულისხმობს, რომ უკეთესად უნდა იყოს შესაძლებელი მიზნების და შედეგების ფორმულირება. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, გვანცა აბდალაძემ აღნიშნა,, რომ მათ არა აქვთ დარგობრივი სტანდარტი და სამაგისტრო საფეხურზე ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაბარება. მან ასევე დაამატა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებზე სანამ საუბრისას სტუდენტებს უნდა
შევუქმნათ წარმოდგენა ამ დარგის შესახებ. ექსპერტის თქმით, ამჟამინდელ პროგრამაში თეორიულ საგნად წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფს ამ კვალიფიკაციის პროგრამისთვის თეორიული საფუძვლების შექმნას და ეს ასახულია პროგრამაშიც იმ კუთხით, რომ ფაქტობრივად წინაპირობები არ აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსებს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამას სჭირდება თეორიული საფუძველი, რომელიც თავის მხრივ გახდება სხვადასხვა სასწავლო კურსების წინაპირობა. წინაპირობების გადახედვაზეც ექსპერტმა გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით აქვთ ერთი რეკომენდაცია. მისი თქმით, ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულება ავტომატურად გამოიწვევს ისედაც წინაპირობების გადახედვას თუ სტრუქტურაში მოხდება ცვლილებები. შესაბამისად წინაპირობების გადახედვა ისედაც აუცილებელი იქნებოდა. რაც შეეხება კონკრეტულად სასწავლო კურსებს, გვანცა აბდალაძის თქმით, ცალკე რეკომენდაცია ეძღვნება კვლევის დიზაინს და მეთოდებს, რომელიც მიიჩნიეს, რომ არ არის მეთოდოლოგიურ თავლსაზრისით საკმარისი სამაგისტრო პროგრამისთვის, რაც გულისხმობს, რომ სწავლების დონის გათვალისწინებით უნდა მოხდეს მეთოდოლოგიური მიმართულების გაძლიერება და ჩანაცვლდეს ეს საგანი ან გაიყოს ცალკე, როგორც ამას

უნივერსიტეტი გადაწყვეტს. მისი თქმით, მეთოდები უფრო სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს. ექსპერტმა ასევე ისაუბრა სილაბუსებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ძალიან უნიფიცირებულია შეფასების მეთოდები სილაბუსებში. მაგალითად, ყველგან არის ქვიზი ყოველ კვირას. მან აღნიშნა ასევე, რომ ლექტორები ძალიან შემოქმედებითად უდგებიან თავიანთ სასწავლო კურსებს და ქვიზის მიღმა უმეტეს შემთხვევაში მოიაზრებენ სხვადასხვა ტიპის შეფასებებს. ზოგ შემთხვევაში: ესე, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი და ა.შ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე დაამატა, რომ უსდ-ს მიერ აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკულ საგნებზე, რომელშიც შედის მეთოდოლოგიური საგანის და დიპლომატიასთან დაკავშირებული საგანი, რომლის შეფასების მეთოდები შესაბამისად უნდა მოვიდეს სასწავლო კურსების შინაარსთან. მისი თქმით უნდა მოხდეს ლიტერატურის გამრავალფეროვნება. მან აღნიშნა, რომ არ არსებობს ასეთი წესი თუ რომელი ლიტერატურა შეიძლება ჩაითვალოს ვალიდურად და რომელი არა. მაგალითისთვის მოიყვანა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ევროკავშირზე მასალა თუ 2015 წელს არის მომზადებული, ვალიდური აღარ იქნება. მან დაამატა, რომ განახლებადი ლიტერატურა, შესაძლებელია, რომ პირდაპირ იქნას მითითებული და ამაზე იყოს მიბმული შეფასების მეთოდი.

ასევე რეკომენდაცია იქნა გაცემული ბიუჯეტის უფრო დეტალურ გაწერაზე.. მათ იციან, ის რომ უნივერსიტეტს აქვს ფინანსური მდგრადობის საშუალებაც, ინტერესიც და სხვადასხვა ფინანსური საშუალებები გარდა სკოლისა. ექსპერტებს სილაბუსებთან დაკავშირებითაც ჰქონდათ რეფორმულირების პრობლემა. მათ სურთ, რომ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები. მაგალითად პრეზენტაცია, რომელიც დღეს ყველა სილაბუსის ნაწილშია მოცემული, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, პრეზენტირების უნარი არცერთ შედეგში არ არის მოხსენიებული და უნივერსიტეტს აქვს იმის საშუალება, რომ სილაბუსი განაახლონ. დამატებით ამბობს, რომ ეს არ არის უნივერისტეტის პრობლემა. ყველა ლექტორს შეუძლია სილაბუსი განაახლოს ყოველი სასწავლო წლის და სემესტრის წინ. ბოლო ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისინი ვერ ხედავენ პრობლემას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციებთან ან დოკუმენტებთან დაკავშირებით. თუმცა დაამატა, რომ ბოლო რეკომენდაცია იმიტომ გასცეს, რომ ხარისხის სამსახურს რა შესაძლებლობაც აქვს, არ არის ხშირად აქტიურად გამოყენებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტი პროდუქტიული იყო. მან დაამატა, რომ არის რიგი საკითხები, რომლებსაც ისინი ეთანხმებიან და უყურებენ, როგორც გარე შეფასებას, რომელიც განმავითარებელი ფუნქციის მატარებელია, მაგრამ არის დეტალები რომელზეც დაწესებულებას აქვს თავისი შეხედულებები, რომელიც მთლად ბოლომდე გაგებული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ წაკითხული აქვთ რეკომენდაცია, მაგრამ ბოლო ნაწილთან დაკავშირებით გარკვევით ვერ გაიგეს რას გულისხმობდნენ ექსპერტები, ვინაიდან მათთვის რეკომენდაციის ფუნქციაა, რომ დაინახონ რაღაცა საჭიროება და განავითარონ ის. ინსტიტუციამ ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციის აღწერილობით ნაწილზე და თქვა, რომ ის რეგულაციები რაც არის ხარისხთან მიმართებაში არის უზრუნველყოფილი და მუშაობს. ეს დაადასტურა ექსპერტმა, მაგრამ რა უნდა იქნეს გამოკვეთილი მათთვის გაუგებარი იყო. წარმომადგენელმა აგრეთვე თქვა, რომ ხარისხთან დაკავშირებით დასკვნის აღწერილობით ნაწილში ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ უსდ-ს რეგულაციები რაც არის ხარისხთან მიმართებაში უზრუნველყოფილია და მუშაობს. თუმცა, რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა გასცეს გაუგებარი იყო, ვინაიდან რა უნდა ჩანდეს უფრო მეტად ან რა უნდა იყოს გაუმჯობესებული ამავე საკითხთან დაკავშირებით ეს უსდ-მ ვერ გაიგო და სასურველი იქნებოდა უკეთ განემარტათ. აღწერილობით ნაწილში ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასევე ექსპერტებს ეწერათ, რომ არსებობს ერთი-ორი შემთხვევა, სადაც რამდენიმე ლექტორი იყო შემოსული და რაღაც საკითხები ვერ

დაადასტურეს, თუმცა ამის საპასუხოდ, რატომ გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებისათვის ესეც გაუგებარია. რაც შეეხება ლიტერატურის ნაწილს, ამ შემთხვევაში ინსტიტუცია დაეთანხმა ექსპერტებს და თქვა რომ საბჭოსთვის ეს უცხო არ არის. ისინი არ ამბობენ ახალ ლიტერატურას, არამედ ამბობენ რელევანტური ლიტერატურას. როდესაც გამოდის ახალი წიგნი ის შეიძლება რელევანტურობის კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდეს და შეიძლება ის მეთოდოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე არ იყოს ოქმში შეტანილი. ამ შემთხვევაში აქაც უფრო მეტი კონკრეტიზაციისკენ აქვთ მოწოდება თუ რომელ საგანში და რომელ ნაწილში აკლია ლიტერატურა. რაც შეეხება რეფორმულირებებთან დაკავშირებით, ამ ნაწილში ნაწილობრივ დაეთანხმნენ ექსპერტებს. მათი შეხედულებით ყველაზე ნიშანდობლივი იყო ქვიზების უნიფიცირების საკითხი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ლექტორებს აქვთ ყველანაირი შესაძლებლობა თავად უზრუნველყონ სილაბუსის მოდიფიცირება. ანუ რეალურად ორ რეკომენდაციაში თავადვე დაადასტურა ის, რაც უსდ-ს უნდა ეთქვა და ეს არის ნამდვილად დადასტურებული მათ შორის ექსპერტების დასკვნაში. მათი სისტემის მიხედვით, რომელიც არის “MY UG”, ნებისმიერი ლექტორი, რომელიც მათთან აწერს ხელშეკრულებას და ხდება მოწვეული ან აკადემიური პერსონალი მათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აიტის სამსახური სპეციალურ ონლაინ პლატფორმას უქმნის, სადაც მას აქვს თავისი სივრცე აკონტროლოს უამრავი საკითხი განცხადების დონეზე, კომუნიკაციების დონეზე და ის სილაბუსი, რომელიც მას გააჩნია. აქედან გამომდინარე ლექტორებს თავად შეუძლიათ დასმული საკითხის კონტროლი. ერთადერთი საკითხი არის ონლაინ დონეზე -ისინი აკეთებენ მაგალითად მიმართვას ამ შემთხვევაში სკოლის დონეზე, სკოლა აკეთებს ხარისხთან მიმართვას და პროგრამის განვითარების საბჭოსთან, რომელიც შემდეგ მსჯელობს მაგალითად სხვების საკითხზე, მაგრამ მენეჯმენტს და ასახვას და შესაბამისად, თუ ექსპერტების მხრიდან იქნებოდა მათ შორის ეს საკითხი დასკვნილი, ისინი თვითონვე ანახებდნენ იმას, რომ მათ მიერვე გასაუბრების დროს არსებული ლექტორების მხრიდან იყო თუ არა ეს ელექტრონულ დონეზე ვიღაცის მხრიდან შეფასებებთან დაკავშირებით კომენტარები ამის გადამოწმება შეიძლებოდა, როდესაც ინსტიტუციამ ისედაც გააკეთა განმარტება, რომ თავიდან ბოლომდე ეს პროცესი არის ონლაინ პროცესი და უზრუნველყოფილია თავიდან ბოლომდე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა ასევე, რომ რაც შეეხება ქვიზის ტერმინის ქვეშ მოიაზრება ძალიან ბევრი რამე, რომელიც ლექტორებისათვის ცნობილია. შეიძლება არსებობდეს წერითი, ზეპირი, საშინაო, ჯგუფური. თუკი ქვიზების დაკონკრეტება არ ხდება სილაბუსებით, ეს იმიტომ, რომ ლექტორის თავისუფლებაა თუ რას როგორ გააკეთებს და სტუდენტები ამაზე ინფორმირებულები არიან თუ რა ფორმის იქნება. ქვიზი არ არის მარტო ერთი სახის შეფასების რაღაცა ფორმა. აქ იგულისხმება მრავალფეროვანი შეფასების ფორმები, რომლის ჩამონათვალი ლექტორისათვის და სტუდენტებისთვის ცნობილია, მაგრამ რომელ ლექციაზე რას გამოიყენებს პედაგოგი ეს მისი თავისუფლებაა და ესეთი სქემა აირჩია დაწესებულებამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ფორმულირებამ მიზნები და შედეგები მკაფიოდ უნდა ასახოს. როგორც ინსტიტუციამ თქვა, მათ ესმით რომ პროგრამის მიზნები და შედეგები ეს არის შეჯამებული ასახვა იმისა თუ რა უნდათ რომ მისცენ სტუდენტებს. საერთო ჯამში პროგრამა მიზანზე გადის და არაკონკრეტული საგანია, რაც ისედაც მოცემულია სილაბუსების სახით. როგორც ინსტიტუცია აღნიშნავს, პირველ რეკომენდაციაში მოცემულია რჩევა, რომ მომხდარიყო დიპლომატიის სწავლება და ყოფილიყო ასახული პროგრამის მიზნებში, ისინი არ ეთანხმებიან ამას იმიტომ, რომ უამრავი სამაგისტრო პროგრამა არის რომლის ფოკუსი არის დიპლომატია. ამ შემთხვევაში კი პროგრამის მიზანი იქნებოდა დიპლომატიის გაზრდა, მაგრამ ის მთელი რიგი საგანი, რაც არის ჩამოთვლილი უსდს პროგრამაში ის თავისი შინაარსით მთელ რიგ სფეროებს, მათ შორის დიპლომატიასაც ასახავს. ხაზს უსვამს იმასაც, რომ მთავარი ამოცანა პროგრამის ვიწრო გაგებით დიპლომატიის ჩამოყალიბება კი არა არის, არამედ საერთაშორისო და გლობალური პოლიტიკის სპეციალისტის ჩამოყალიბებაა, რომლის ერთ-ერთი ნაწილი წარმოადგენს დიპლომატიის ცოდნა და უნარების წარმოებას. ამიტომ ეს რეკომენდაცია

გაუგებარი იყო მათთვის. ამავე დროს საუბარი იყო პროგრამის შედეგების იმგვარად ფორმულირებაზე, რომ მკაფიოდ ყოფილიყო აღწერილი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის შესაბამისი საკითხები და გაცნობიერება. უნარების ნაწილში კი მკაფიოდ ყოფილიყო აღწერილი ტრანსფერული უნარები. უსდ-მ კვლავ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი მათთვის გაუგებარია იმიტომ, რომ ის ფორმულირება რასაც ისინი ახდენენ მაქსიმალურად ცდილობენ მოარგონ სავალდებულო საგნებით მიღწეულ შედეგებს. მაგალითად, საერთაშორისო ინსტიტუციური არქიტექტურა და მექანიზმების მიზანზე როცა ვსაუბრობთ, რა ინსტიტუციური მექანიზმები მუშაობს გლობალური თვალსაზრისით და რა მექანიზმები გააჩნია მას, ბუნებრივია, რომ ამაში არის შეჯამებული იმ საგნების შედეგები რაზეც მათ ისაუბრეს და გააჩნიათ ჩამონათვალში. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც ერთ-ერთი, ისევე როგორც სხვა სავალდებულო საგნები, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი მექნიზმით რელევანტურობა არის განხილული. იგივე ეხება საერთაშორისო ლეგალურ და ნორმატიული ჩარჩოების ცოდნას, რაც დიპლომატიის საგანთან ერთად პირდაპირ უკავშირდება ისეთ სავალდებულო საგნებს, სადაც აღნიშნული ასპექტები გადამწყვეტია. მაგალითისთვის სახით დაასახელეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართალი, გლობალური მმართველობა და გამჭირვალობა, გლობალური მდგრადი განვითარება, ევროკავშირი, ნატო და ტრანსატლანტიკური პოლიტიკა. ამით ხაზი გაუსვეს იმას, რომ მკაფიოდ უნდათ მთელი რიგი საგნების შედეგები მოაქციონ ერთ ჩარჩოს ქვეშ. მთელი პროგრამის მიზანი არის სხვადასხვა კონკრეტული საგნების მეშვეობით საერთაშორისო პოლიტიკის, რომელიც არის სინონიმი გლობალური პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებად გაშლა და გაანალიზება. თუ საუბარია საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ საფუძველზე, ის მართლაც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაა იმიტომ, რომ თუ გადახედავენ ექსპერტები სილაბუსს ეს თეორია მოიცავს, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის სისტემურ სახელმწიფოებრივ ინდივიდუალურ დონეზე ანალიზის საფუძვლებს, ასევე მთელ რიგ ჩამონათვალს თეორიული მიდგომებისა, რაც აბსოლუტურად რელევანტურია გლობალური პოლიტიკის. საუბარია ,რომ ერთი საგნით მოხდეს სხვადასხვა ასპექტებზე საუბარი. უსდ-მ აღნიშნა რომ ეს მათთვის რელევანტურია იმიტომ, რომ პროგრამის მიზანია სწორედ საერთაშორისო პოლიტიკის გაშლა კონკრეტულად, დეტალურად სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც უნდა იქნას ასახული სხვადასხვა საგნების მეშვეობით, როგორიც არის საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ასპექტები, საერთაშორისო ურთიერთობების უსაფრთხოების ასპექტები და ა.შ. ინსტიტუცია იზიარებს ბევრ მოცემულ რეკომენდაციას, მაგალითად კვლევითი დიზაინის მეთოდებთან დაკავშირებით, ისევე როგორც წინაპირობებთან დაკავშირებით რეკომენდაციებსაც იზიარებენ, თუმცა მათ აქვთ ერთი დათქმა, რომ ბევრ საგანთან ავტომატურად წინაპირობები ვერ იქნება განსაზღვრული. იქნება მხოლოდ გარკვეულ საგნებთან მიმართებაში და ეს საგნები მათ მოწოდებული აქვთ. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნავენ იმასაც, რომ მათთვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ ლექტორი როგორ საზღვრავს ლიტერატურას, რომელიც რელევანტურია. არის დამატებითი, ღია წვდომის წყაროები, რომლებიც შეიძლება პერმანენტულად განახლდეს. რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, ნათია კალაძე აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ ექპერტთა ვიზიტის დროს არ ყოფილა დასმული ისეთი დეტალური კითხვა ბიუჯეტთან დაკავშირებით თორემ სიამოვნებით გააზიარებდნენ მეტ ინფორმაციას. უსდ-მ ორი ტიპის ბიუჯეტი წარმოადგინა, ეს იყო აქტიურ-დიალური ბიუჯეტი და ბიუჯეტი, რომელიც იყო გათვლილი განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, რომელსაც ეძახიან „ემერჯენსი“ ბიუჯეტს. მათ ჰქონდათ დეტალურად მოცემული შემოსავლები. კერძოდ, სტუდენტთა რაოდენობა და ჯამური შემოსავალი წლების მიხედვით. ასევე მასში არის წარმოდგენილი აკადემიური პერსონალისთვის ფიქსირებული სახელფასო ხარჯი, მოწვეული პერსონალისთვის ხარჯი და ა.შ. ცალკე ჰქონდათ ინფრასტრუქტურული ხარჯები, ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით ხარჯები და პროგრამული და პროფესიული განვითარებისთვის ტექნიკური ხარჯები. როგორც ინსტიტუცია აღნიშნავს, იმისათვის რომ ბიუჯეტი დეტალური იყოს, მთავარია ექსპერტმა ჯგუფმა დაინახოს ის, რომ

ფინანსურად არის მდგრადი ეს სასწავლო კურსი და მას აქვს განვითარების საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ინსტიტუციას მიმართა კითხვით თუ როგორ ხდებოდა პერსონალის პირად საქმეების კონტროლი, რადგან მათ დოკუმენტაციაში მხოლოდ ინგლისური "CV"-ები ჰქონდათ წარმოდგენილი. ინსტიტუციამ განმარტა, რომ მათ დებულებაში ორივე ენაზე ესეთი ჩანაწერი არ აქვთ. აქ საუბარია იმაზე, რომ განსაზღვრულია პროგრამები რომლის შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, სავალდებულოა ხოლმე კონკრეტულ ენაზე იყოს წარმოდგენილი ,რადგან ეს მაინც ინგლისურენოვანი პროგრამაა და შესაბამისად ასე გააგზავნეს. როგორც წარმომადგენელი აღნიშნავს, შესაბამისი სამსახური არსებობს - ადამიანური რესურსების განვითარების, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებას. აქვე თავჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომ მათ აღნიშნეს, რომ სხვა ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან სტუდენტებს შეუძლიათ ამ პროგრამაზე ჩარიცხვა და დაინტერესდა შეიძლება თუ არა მათი აზრით, ამის დარეგულირება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით? ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრება ისედაც არის და ამ პროგრამასთან მიმართებაში ჯერჯერობით არ დევს ზუსტი აღწერილობა რაც რჩევაშია გაცემული, რომ დაზუსტდეს აღწერილობა., თუმცა, უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკა სხვა სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით, რომელიც ვებგვერდზე დევს დეტალური ინსტრუქცია, თუ როგორ ხდება გასაუბრება და სტუდენტი როგორ უნდა მოვიდეს მომზადებული. ექსპერტმა დაამატა, რომ არის კიდევ ერთი საკითხი, აღნიშნული საგანი არის მულტიდისციპლინური და მოიცავს ბევრ ასპექტს და როდესაც სტუდენტი მოდის, უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ამ დარგის სპეციფიკაზე, სხვადასხვა ტერმინებზე, სხვადასხვა ასპექტებზე, რომლებიც ზოგიერთი არჩევითია და ამიტომ ზოგიერთ საგანს ვერ გაივლის. წარმოდგენილ პროგრამაში საერთაშორისო ურთიერთობების თეორია დიპლომატიის და საერთაშორისო პოლიტიკის კვალიფიკაციის საგნებისთვის ვერ არის ზუსტი თეორიული წანამძღვარი. წარმოდგენილ პროგრამაში ამიტომაც თითქმის არ იყო წინაპირობები განსაზღვრული. ამიტომ იმსჯელეს ამ ტიპის საგნის დამატებაზე ექსპერტებმა. ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ არის რამდენიმე დეტალი, რომელსაც არ ეთანხმებიან. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშიც, მათი ვიზიტის პერიოდამდეც და ახლაც მათ გაუზიარეს ბმული, სადაც ხდება თემატიკების განთავსება. ამ ბმულზე ყველა პროგრამის თემატიკები, საკითხები და ყველა ის საჭიროებებია მოცემული, რომელსაც სტუდენტი უნდა გაეცნოს, რათა შემდეგ მივიდეს გამოცდაზე გასაუბრების სახით. მათთვის გაუგებარია ის, რომ ვიზიტის პერიოდში ეს ნახსენები არ იყო, თორემ ამ ლინკის გაზიარება მოხდებოდა მათი მხრიდან. საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ დასვა შეკითხვა ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც აინტერესებდა, ხომ არ იქონია გავლენა მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების ხარისხმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომებს სწორედ იმიტომ ითხოვენ, რომ შეექმნათ წარმოდგენა პრაქტიკაში როგორ განხორციელდა ყველაფერი ის, რაც სასწავლო კურსის სილაბუსში წერია. გარდა ამისა, თვითონ სილაბუსის შინაარსის მიხედვით და ლიტერატურის მიხედვით თითქოს ეს უფრო საწყისი ეტაპის იყო, რაც ექსპერტთა ჯგუფმა აღწერილობით ნაწილში ჩაწერა. შესაძლებელია უსდ-ში მოვიდეს ისეთი სტუდენტი, რომელსაც არ აქვს აკადემიური წერა გავლილი, ან დარგობრივი საგანი, მაგრამ ექსპერტები ფიქრობენ, რომ კონკრეტულად ეს სილაბუსი არის საკმარისი სამაგისტრო დონეზე სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად მათ შორის მეთოდების თვალსაზრისით. მოცემულ მოსაზრებას დაეთანხმა დაწესებულებაც.

საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას სამაგისტრო ნაშრომებზე, რამდენად პასუხობს სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს უკვე შესრულებული ნაშრომები წინა სამაგისტრო პროგრამის პირობებში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოცემულ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში უნივერსიტეტს აქვს რეგულაცია თუ რომელი დამოწმების სტილი უნდა იქნეს გამოყენებული სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებაში, მაგრამ აღნიშნულ სილაბუსში არაა აღნიშნული

დამოწმების სტილზე არცერთი საკითხი. ეს ხარვეზი ასახული იქნა სამაგისტრო ნაშრომებში. საბჭოს წევრმა ეკა ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ორივე მხარეს, მას აინტერესებდა რეკომენდაციასა და რჩევასთან დაკავშირებით, რეკომენდაციაში დაწესებულებას აქვს არჩევითი სასწავლო კურსების დამატება დიპლომატიის მიმართულებით, ხოლო, რჩევად წერია პრაქტიკის ობიექტებზე მემორანდუმებში სტუდენტების ოდენობის ჩაწერა. რამდენად მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაციის სახით აესახათ ექსპერტებს არჩევითი სასწავლო კურსების დამატება და რატომ არა ძირითადი საკითხების გაძლიერება? და მეორე კითხვა, პრაქტიკის ობიექტებზე (მემორანდუმი ცოტა ზოგადი დოკუმენტია) რამდენი სტუდენტი შეძლებდა პრაქტიკის გავლას? ცალკე ხელშეკრულებით ხომ არ რეგულირდებოდა აღნიშნული? რატომ გასცა ექსპერტთა ჯგუფმა ამასთან დაკავშირებით რჩევა და არა რეკომენდაცია? ინსტიტუციასთან კი საბჭოს წევრს ჰქონდა შეკითხვა, „მიწოდების ჯაჭვის მართვის“ სილაბუსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ინგლისურენოვანი დასახელებები ხანდახან განსხვავდება ქართულისაგან, ამ შემთხვევაში ცოტა სხვა დონეს გულისხმობს ქართული დასახელება რომელიც მათ აქვთ და სასურველი იქნებოდა დაეკონკრეტებინათ აღნიშნული სილაბუსის დასახელება ქართულად. მეორე, ერთ-ერთი ძირითადი ლიტერატურა, რომელიც ამ სასწავლო კურსში იყო გამოყენებული მიწოდების ჯაჭვის მართვის სახელმძღვანელო საბაკალავრო დონის უფრო იყო და საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამ განაპირობა სახელმძღვანელოს შეტანის საჭიროება? მან ასევე დასძინა, რომ სხვა ძირითადი რესურსი საკმაოდ კარგად იყო გამოყენებული..

ექსპერტმა საბჭოს წევრის შეკითხვაზე განმარტა, რომ ორ პროგრამას აქვს აბსოლუტურად იდენტური არჩევითი კურსები და შესაბამისად მათ ჩათვალეს, რომ თითოეული პროგრამა არის თვითმყოფადი, თავისი მიზნები და შედეგები აქვს და კონკრეტულად ამ პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო კურსებით უნდა გამდიდრდეს, მათ შორის არჩევითიც. მან დიპლომატიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია არის დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა. შესაბამისად, ეს მიზნებშიც უნდა იყოს და ერთადერთი საგანი არის წარმოდგენილი ძირითად სტრუქტურაში. ისინი თვლიან, რომ ძირითად სტრუქტურაში საკმარისია ერთი, თუმცა მისი განვრცობა შეიძლება მოხდეს არჩევით საგნებში სხვადასხვა ასპექტებით და სტუდენტს საშუალება ჰქონდეს დიპლომატიასთან დაკავშირებით კიდევ რაღაც ცოდნა მიიღოს და ასპექტი შეიძინოს არჩევითებიდან არჩევით. გარე შემფასებლის შეფასებაშიც აღნიშნული იყო დიპლომატიის მიმართულების გაძლიერება. რაც შეეხება პრაქტიკას, ექსპერტი აღნიშნავს, რომ მათი მიმართულების დარგის 0312 ქვედარგების კვალიფიკაციის პროგრამებში ყოველთვის არის პრობლემა პრაქტიკაზე ყველა სტუდენტის წაყვანა. პროგრამაში არც არის სავალდებულო სახით პრაქტიკა დაწერილი. ეს არის შესაძლებლობების, უნივერსიტეტის და დამსაქმებლის კეთილი ნება. ასევე აღნიშნა, რომ ამ დარგებში ძალიან ცოტაა დამსაქმებელი, რადგან სამთავრობო სტრუქტურები ვერ მიიღებენ ექსკლუზიური მემორანდუმით, მათ აქვთ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა, სადაც სტუდენტები კონკურსით უნდა მიიღონ და პირიქით დარღვევა იქნება კანონის, რომ მათ კონკრეტულ უნივერსიტეტს ექსკლუზიურად გაუფორმონ ხელშეკრულება. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი თვლის, რომ რეკომენდაციის სახე ვერ ექნებოდა პრაქტიკასთან დაკავშირებით ამ საკითხს.

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით დაწესებულებას სხვა ხელშეკრულებების გარდა ხომ არ გადაუმოწმებიათ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. შესაძლოა დაწესებულებას არ ჰქონდა მემორანდუმში მითითებული რაოდენობა, მაგრამ პრაქტიკულად შესაძლოა წლების განმავლობაში ჰქონოდა განხორციელებული ეს რაოდენობები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი ესაუბრნენ ყველა იმ დამსაქმებელს, რომლებსაც მუდმივი თანამშრომლობა ახასიათებდა ამ უნივერსიტეტთან და მათთან გაარკვიეს თუ რა როგორ ხდება, რამდენის მიღება შეუძლიათ და რა ფუნქციით. აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებმა ასევე გადაამოწმეს სტუდენტებთან და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთანაც.

საბჭოს წევრს დავით ჩოჩიშვილს ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვები, როგორც ექსპერტებთან ასევე ინსტიტუციასთან. ექსპერტებთან მას ჰქონდა ასეთი კითხვა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციების მესამე დონე „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მოხვდა რჩევებში. როგორ ფიქრობენ მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება შესაძლებელია თუ არა მესამე დონის გარეშე? ინსტიტუციასთან კი შემდეგი შეკითხვა დასვა, ინსტიტუციას აქვს დანერგილი სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების მექანიზმი, ბიუჯეტშიც გაწერილი აქვთ თანხა 10000 ლარი, მას აინტერესებდა თუ როგორ ხდება თანხის განკარგვა და პრიორიტეტების განსაზღვრა? მოცემულ შეკითხვასთან დაკავშირებით ექსპერტმა უპასუხა, რომ არ არსებობს ვალდებულება, რომ სამაგისტრო საფეხურზე იყოს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გაწერილი. ისინი ამას რეკომენდაციაში ვერ გასცემდნენ და ამიტომ არის რჩევის სახით. ვინაიდან პროგრამა ახალია და იწყებს ახალი სტრუქტურით მუშაობას, ვარაუდობენ რომ მიმდინარეობის პროცესში, შესაძლებელია, თავად უნივერსიტეტმა გადაწყვიტოს, რომ პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა აუცილებელია, თუმცა მათ ამის ვალდებულება არ აქვთ. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აქ ვალდებულებაზე არ იყო საუბარი, საუბარი იყო საჭიროებაზე და კურსის შინაარსიდან გამომდინარე ამის გაზომვაზე და კითხვაც შესაბამისად ამაზე იყო დასმული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს სწავლის შედეგებთან მიმართებაში და დაამატა, რომ მათ შიდა სტანდარტებიდან გამომდინარე გააჩნიათ მექანიზმები და ამ მექანიზმებიდან გამომდინარე დაიწერა ეს შედეგები. გამოითხოვილ ნაშრომებთან დაკავშირებით, ინსტიტუციამ განმარტა, რომ ნაშრომის გამოთხოვის მიზანი არ არის იმის შემოწმება, ნაშრომი ხარისხიანად არის თუ არა შესრულებული, არც მისი შინაარსის კვლევაა მიზანი. ექსპერტები იმიტომ გამოითხოვენ ნაშრომს, რომ შეამოწმონ მისი ტექნიკური მხარე: რამდენად არის აკადემიური სტილი დაცული, რამდენად სწორად არის ტექნიკურად გაფორმებული და ა.შ. და არა შინაარსობრივი მხარის შემოწმება. პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს, კერძოდ პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. ასევე დასძინა, რომ იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტების მხრიდან იქნება ამის მოთხოვნა, დაიდება ხელშეკრულებები. თუმცა, წინასწარ ვერ განსაზღვრავს დაწესებულება თუ რა წინაპირობებზე შეიძლება შეთანხმდნენ მხარეები, ვინაიდან ხელშეკრულებები არის ცვალებადი და ვერც ერთი ინსტიტუცია წინასწარ ვერ განსაზღვრავს პირობითად 5 ან 6 წლით წინასწარ როგორი სახელშეკრულებო პირობები უნდა გაფორმდეს დამსაქმებელთან.

დაწესებულებამ საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის საგანთან დაკავშირებით განმარტა, რომ გლობალურ პოლიტიკას აქვს ორი კომპონენტი და ორივე სისტემურად ფარავს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას. რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, ინსტიტუციას მიზანი ჰქონდა, რომ სტუდენტის ჩარიცხვისას მას ჰქონოდა საშუალება დამატებითი საგნების არჩევით გაეფართოებინა და გაემრავალფეროვნებინა თავისი კომპეტენცია. ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ასევე განმარტა, რომ აქაც კომპეტენციების გაფართოებასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ლიტერატურის შემოტანა საგანში.

15:00 სთ-ზე სხდომა დატოვა თამარ ზარანდიამ

ხოლო ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ აქვთ გამოყოფილი 20000 და 10000 ლარი წლიურად კვლევითი და პროფესიული აქტივობების ხელშეწყობის მიზნით. ეს თანხები არის წახალისებისა და ხელშეწყობისთვის. მაგალითად, პროფესორის პრემიის სახით დაჯილდოება, კონფერენციებზე დასწრებისა და მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა ტექნიკური და ადმინისტრაციული კუთხით დახმარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 15:18

დასრულებისდრო: 15:43
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გლობალური მმართველობის" სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 2028 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გლობალური მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას დიპლომატიის სწავლება პროგრამის მიზნების პროგრამის სტრუქტურასთან, პროგრამის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
  2. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების შესაბამის საკითხებს და გაცნობიერებას, უნარების ნაწილში კი მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ტრანსფერული უნარები და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
  3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
  4. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა", რომელიც ერთის მხრივ მოიცავს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის თეორიულ ხედვებს, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, კონკრეტული ქეისების განხილვას, და მეორეს მხრივ, შექმნის წინაპირობას ზოგიერთი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
  5. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები" ჩანაცვლდეს ორი მეთოდოლოგიური კურსით, სადაც ერთი აქცენტს გააკეთებს კვლევის დიზაინსა და აკადემიურ წერაზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის

გათვალისწინებით, ხოლო მეორე ორიენტირებული იქნება კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე სწავლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

6. რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი, რელევანტური, საფეხურის შესაბამისიგამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს გარკვეულ ცვლილებებს სასწავლო კურსების შინაარსშიც.
7. რეკომენდებულია, მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“; „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ და მეთოდოლოგიური სასწავლო კურსების შეფასების არსებული მეთოდები (ყოველკვირეული ქვიზები, კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, რეფერატი/პრეზენტაცია) შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას.
9. ·რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსების შეფასების კომპონენტი გადაიხედოს მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად და არ იყოს უნიფიცირებული; შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.·
10. რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტის სხვა ხარჯები გაიწეროს დეტალურად, რათა დაზუსტდეს ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის განვითარების ღონისძიებების, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ხარჯების მოცულობა.
11. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზუნველყოს პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნებში უფრო ნათლად იქნას გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაციის საკითხები.
2. სასურველია, დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.
3. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.
4. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით.
5. სასურველია, მომზადდეს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და გასაუბრების დეტალური ინსტრუქცია დროულად განთავსდეს უსდ-ს ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე მიღება და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ლოგიკური დაკავშირება.

6. სასურველია, პროგრამის არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს უცხო ენის/უცხო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსები.
7. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები თუნდაც ერთი სასწავლო კურსისთვის.
8. სასურველია, სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.
9. სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.
10. სასურველია, არსებულ და სამომავლო მემორანდუმებში გაიწეროს პრაქტიკის გავლის მიზნით მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და მიზანი.
11. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მეთოდების ცვლილების შემდეგ გადაიხედოს სწავლა-სწავლების მეთოდები და შეირჩეს სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად.
12. სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა
13. სასურველია, უნივერსიტეტში დაწესდეს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობა.
14. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების შედარებითი ანალიზი და მსგავსი. აღსანიშნავია, რომ გარე შემფასებლის შეფასებაში ასევე აღნიშნულია პროგრამაში დიპლომატიასთან დაკავშირებული თემატიკის სიმწირე.
15. სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსების წინაპირობების განახლება პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების შემდგომ.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "უსაფრთხოების სწავლებები" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უსაფრთხოების სწავლებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312 Political sciences and civics
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა ნათია ზედგინიძემ
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა გვანცა აბდალაძემ აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაზე წარმოდგენილია 9 რეკომენდაცია. რეფორმულირების საკითხები ისევ დგება აღნიშნულ პროგრამაშიც, რომელიც ეხება პროგრამის შედეგებს სილაბუსებთან დაკავშირებით. კვლევის დიზაინი და მეთოდები, მეთოდოლოგიური საგანი რომლის სილაბუსი საერთოა ორი პროგრამისთვის. ხაზს უსვამს იმას, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეიქმნა ერთი პროგრამის ორად გაყოფის საშუალებით და

ზოგიერთი სილაბუსი მათში საერთოა. მათ შორის არჩევითი ბლოკი თითქმის იდენტურია ორივე პროგრამისთვის. სტრუქტურასთან დაკავშირებით თქვა, ,რომ ძალიან საინტერესო სასწავლო კურსებია პროგრამაში წარმოდგენილი და ჩართულია დარგის ბევრი ექსპერტი, როგორც განმახორციელებელი, როგორ პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალიდა ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებიც არის ძალიან საინტერესო. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ წავიდა იმ გზით, რომ კონკრეტული საგნების გადმოტანა, გადაჯგუფება შეეთავაზებინათ ინსტიტუციისათვის იმიტომ, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება არის ძალიან ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული, შესაბამისად რეკომენდაცია გასცეს პროგრამის სტრუქტურაზე, რომ სწავლა დაიწყოს გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი საგნით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული სასწავლო კურსებიდან ზოგიერთ რეკომენდაციას უნივერსიტეტი დაეთანხმა, მაგრამ ზოგიერთს არ დაეთანხმა. ერთი რეკომენდაცია გაითვალისწინეს თავად ექსპერტებმა. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რასაც უნივერსიტეტი არ ეთანხმება არის სასწავლო კურსის აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა - სილაბუსთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია. ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ეს სილაბუსი მომიჯნავე პროგრამისთვის იყო შექმნილი და ამ კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში ის არ არის რელევანტური და მომავალში უნდა შეიქმნას კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებაში უფრო თავდაცვაზე ორიენტირებული სასწავლო კურსი. აღნიშნულ სილაბუსთან არის გაცემული რეკომენდაცია და რჩევებშიც არის ეს მოხსენიებული, თუმცა რჩევაში მათ თავიანთი აზრი შესთავაზეს ინსტიტუციას თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს ეს ყველაფერი. ექსპერტებს არ გაუციათ ზუსტი რეკომენდაცია თუ რა უნდა ერქვას სიალბუსს და როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი, თუმცა გასცეს რეკომენდაცია რომ აღნიშნულ სილაბუსს სჭირდება ცვლილებები. ლიტერატურასთან და არჩევით სასწავლო კურსების გამდიდრებასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისევ გასცეს რეკომენდაცია შეფასების უნიფიცირებულ კრიტერიუმებთან.

.მან განმარტა, რომ ბოლო რეკომენდაცია ეხება ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ ტიპის რეკომენდაციების გაჩენა დასკვნებში გამოწვია იმან, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს კარგად რეგულირებული ხარისხის მართვის სამსხური, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე სასკოლო დონეზე, ვიზიტის დროს ფიქსირდებოდა ისეთი ხარვეზები, როგორიც არის როდესაც ლექტორმა არ იცის თუ რომელ საგანს კითხულობს ან აღნიშნულ პროგრამაში თუ არის საერთოდ ჩართული. ამიტომაც, ექსპერტებმა არ გასცეს რეკომენდაცია რაიმე დოკუმენტების ცვლილებაზე, არამედ გასცეს მონიტორინგის გააქტიურებაზე და მეტ ჩართულობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ინსტიტუციამ განმარტება გააკეთა პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აქაც მსგავსად წინა პროგრამისა მათ აქვთ მიდგომა, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მისი დეტალიზება არ არის საჭირო იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით ფართო ჩამონათვალი უნდა ჰქონდეთ რაც ისედაც სხვდასხვა საგნების მეშვეობით აქვთ. ის მიზნები, რომლებიც აქვთ ჩამოთვლილი ფორმულირებულია პროგრამაში. ეს არის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების და წარმართვის გაგება. ინსტიტუციის წარმომადგენელმა პროგრამის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარია რეკომენდაცია, ვინაიდან „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და განხორციელებულ პოლიტიკებს შორის ღრმა ცოდნა“ - ეს არის ერთი და მეორე - თავდაცვის სისტემის და საკითხების ორგანიზება და სისტემური გაგება“, „კონფლიქტების გენეზისი და შედეგების მართვა სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში“ საკმაოდ მკაფიოდ და დეტალურად აღწერს პროგრამის შედეგებს, ხოლო, რაც შეეხება საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ძალების გამოყენების დილემის გადაწყვეტის და სახელმწიფო

ინტერესების რანგირების უნარების გამომუშავება, ისევე როგორც უსაფრთხოებაში განხორციელებული სექტორალური პოლიტიკების, უსდ-ს წარმომადგნელები ფიქრობენ, რომ საკმაოდ მკაფიოდ არის პროგრამის შედეგებში ფორმულირებული. ამიტომ, ბუნებრივია ექსპერტების ამ რეკომენდაციას ისინი არ დაეთანხმნენ. უსდ-მ აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილს რომ დაემატოს ორი დარგობრივი ძირითადი კურსი, აქ მათ დაიკავეს პრინციპული პოზიცია, რომ არ მოხდეს შინაარსის დუბლირება. როცა თეორიული საგნის შემოღებაზეა საუბარი, მათ ორი საგანი ისედაც აქვთ, კერძოდ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ და „ომი, მშვიდობა და უსაფრთხოება“. ორივე საგნის მეშვეობით სისტემური და თეორიული თვალსაზრისით, ახსნილია სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის დონეზე უსაფრთხოების ინტერდისციპლინარული ბუნება. ასევე, მან განმარტა „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვის“ სასწავლო კურსის სათაურთან და შინაარსთან დაკავშირებით, რომ ინსტიტუციისათვის მთავარი არის მიზანი - დაანახონ უსაფრთხოების კონტექსტში პოლიტიკების ურთიერთკავშირი. ასევე ახსნა, რომ „თავდაცვის პოლიტიკას“ დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს კარგადაა ახსნილი და განაწილებული სილაბუსში, თუ როგორ ხდება საგარეო პოლიტიკის კონტექსტში თავდაცვის კომპონენტის განხილვა. უსდ-ს წარმომადგენელმა დაამატა, რომ ეს ბმა საგნებს შორის არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, ამაზეც იმავეს თქმა შეუძლია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:15
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „უსაფრთხოების სწავლებების“ სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 2028 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „უსაფრთხოების სწავლებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ

უსაფრთხოების დარგის სხვადასხვა ასპექტებს, გამოიკვეთოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის უსაფრთხოების დარგთან კავშირი და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩამოყალიბდეს 2 სასწავლო კურსად, სადაც ერთში აქცენტი გაკეთდება კვლევის დიზაინზე (სტუდენტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს), ხოლო მეორეში კვლევის მეთოდებზე (თვისებრივი მეთოდები და ცალკეული რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის სტატისტიკური ანალიზი და სხვ.). სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა შერჩეულ იქნას დარგის სპეციფიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ სათაური და სილაბუსი გახდეს აშშ-ს თავდაცვის არქიტექტურის სპეციფიკაზე ორიენტირებული უსაფრთხოების კვლევების დარგის სპეციფიკის, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.
5. რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი, რელევანტური და საფეხურის შესაბამისი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით.
6. რეკომენდებულია, მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.
7. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ შეფასების არსებული მეთოდები სრულად შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას; იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლის სწავლის შედეგებში ხაზგასმულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, აქტივობები და შეფასების მეთოდები შეირჩეს ადეკვატურად.
8. რეკომენდებულია, სილაბუსებში შეირჩეს სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისი არაუნიფიცირებული შეფასების კომპონენტები და გაიწეროს ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები.
9. ·რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზუნველყოს პროგრამისპერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა და ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნები გაიწეროს უფრო დეტალურად და ნათლად, პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით.
2. სასურველია, პროგრამის მიზნებში გამოკვეთილ იქნას ინტერნაციონალიზაციის საკითხები.
3. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. სასურველია, დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.
5. სასურველია, დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომ განახლების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათგან კონკრეტული მოსაზრებების მიღება.
6. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას, სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.
7. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით სწავლის შედეგების ეფექტური გაზომვადობისთვის.
8. სასურველია, ზეპირი გასაუბრების დეტალური თემატიკა და ინსტრუქცია მომზადდეს დროულად და განთავსდეს უსდ ვებ-გვერდზე.
9. სასურველია, დარგის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას მომიჯნავე პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსი/სასწავლო კურსები.
10. სასურველია, სასწავლო კურსი „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ ჩანაცვლდეს ახალი სასწავლო კურსით, რომელიც აქცენტს გააკეთებს NATO-ზე, როგორც უსაფრთხოების კოლექტიურ ორგანიზაციაზე და აშშ-ს როლზე NATO-ში, ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსი ჩამოყალიბდეს როგორც „აშშ საგარეო პოლიტიკა“ და გადავიდეს პროგრამის არჩევით ნაწილში.
11. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან (კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომები და სხვ.) დაკავშირებული სასწავლო კურსები.
12. სასურველია, სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.
13. სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.
14. სასურველია, სილაბუსების ფორმატი უფრო მეტად ინფორმატიული ან/და კონკრეტული იყოს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დასაფარ თემატიკასთან მიმართებით.
15. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად იქნას გამოხატული ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობა.
16. სასურველია, მაგისტრანტებთან მეტი მუშაობა და მათი ინფორმირება ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების საკითხებთან დაკავშირებით.
17. სასურველია, გარე შეფასების განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებამ მეტად გამოკვეთოს ამ შეფასების შედეგების გავლენა პროგრამის შინაარსზე და წარმოდგენილი იქნეს დასაბუთება, ექსპერტის რა რჩევები და რეკომენდაციები იქნა გაზიარებული ან არ გაზიარდა.
18. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში და მიიღოს მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები.
19. სასურველია, ერთის მხრივ, პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების მეტად სიღრმისეულად განხორციელება სწავლის სფეროსა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების მიზნით და მეორეს მხრივ, ამ კვლევების შედეგების ანალიტიკური მხარის გაძლიერება

20. სასურველია, პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილს დაემატოს დარგის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ისეთი თეორიული კურსი, რომელიც ახსნის უსაფრთხოების დარგის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ ხასიათს; ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კავშირს (უსაფრთხოების დარგის ძირითადი თავისებურებები, უსაფრთხოების კვლევების სპეციფიკა, უსაფრთხოების სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო ასპექტები, უსაფრთხოების ეროვნული არქიტექტურა სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე, უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო ასპექტების ურთიერთკავშირი, უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები და სხვ.) და შექმნის თეორიულ წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N69; 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223 - ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N295, 02/08/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223, ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N69; 30.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0223 - ფილოსოფია და ეთიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა წარმოდგენილი იყო ჩარჩოსთან შესაბამისობაში, რიგგარეშე მონიტორინგის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ 2011 წლიდან საბაკალავრო პროგრამის ჯგუფში თავად გახლდათ და დასძინა, რომ დროთა განმავლობაში სამივე პროგრამამ დიდი განვითარება ჰპოვა. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ცვლილებას განაპირობებდა არამხოლოდ რეკომენდაციები და რჩევები რაც ჰქონდა თავის დროზე ამ პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული, არამედ ის საკანონმდებლო ცვლილებები რაც ამ პერიოდში დაგროვდა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებს რამდენჯერმე გადაეწიათ აკრედიტაციის ვადა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, წარმოდგენილი პროგრამები არის აბსოლუტურ თანხვედრაში ამ ახალ ჩარჩოსთან, როგორც კვალიფიკაციის თვალსაზრისით, ასევე კოდის სწორად არის დასმული. შესაბამისად იყო ერთადერთი რეკომენდაცია შეფასების ზღვრებთან დაკავშირებით რამდენიმე სილაბუსში, ხოლო, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ზღვრები ზუსტად იყო დასმული ახალი მე-3 ბრძანების შესაბამისად. ექსპერტებმა მიიღეს პასუხები დაწესებულების მხრიდან. სამაგისტრო პროგრამაში მსგავსი რეკომენდაცია გაცემული იყო სამაგისტრო დებულებასთან დაკავშირებით, რომელიც ნაწილობრივ გაიზიარა ინსტიტუციამ. ექპერტმა, გიორგი თავაძემ აღნიშნა, რომ დარგობრივთან დაკავშირებით მათ არ ჰქონდათ რეკომენდაციები და ჰქონდათ მხოლოდ რჩევები, რომლებიც ეხება სილაბუსების ტექნიკურ ასპექტებს და ექსპერტი ფიქრობს, რომ ეს მარტივად გამოსასწორებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი რაც იყო ერთ-ერთ კურსის სილაბუსთან დაკავშირებით მათ უკვე წარმოადგინეს გასწორებული დოკუმენტის ვერსია. ხოლო, რაც შეეხება საზღვრების დაწესებას, ისინი არ ეწინააღმდეგებიან მე-3 ბრძანებას და უფლებას იტოვებენ, რომ შეინახონ ის მიდგომები და ის პრინციპი რითაც ხელმძღვანელობენ მინიმალური საზღვრების დაწესების დროს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 16:32
დასრულებისდრო: 16:37

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „ფილოსოფიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

„ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „ფილოსოფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის N449 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0214 - გამოყენებითი ხელოვნება/(ხელნაკეთობა)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო სილაგაძემ აღნიშნა რომ პროგრამას არ აქვს პრობლემები და მხოლოდ წვრილმან რეკომენდაციებსა და რჩევებზე ისაუბრებს. ამ პროგრამამ ბევრი ცვლილება განიცადა უკანასკნელი აკრედიტაციის შემდეგ,კერძოდ,დაიშალა უფრო წვრილ ერთეულებად და სპეციფიურ მიმართულებებად, თავდაპირველად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ქუდის ქვეშარსებობდა და შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელა არსებობა. საკმაოდ ბევრი რამ დაზუსტდა ამ პროგრამაში და გამოიკვეთა მიზნები, დაიხვეწა შედეგების რუკა და ა.შ. ეს ყველაფერი ასახული იყო თვითშეფასების დოკუმენტში, რომელიც ექპსერტებს წარუდგინეს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. ზოგადად პროგრამა შინაარსობრივი თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა აწყობილი და დახვეწილი აქვს შინაარსობრივი მხარე,იმიტომ, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება -მხატვრული კერამიკა ვიწრო სპეციალობაა, თუმცა პროგრამის შინაარსობრივი თვალსაზრისით პროგრამაში სპეციალური კურსები, რომლებიც კონკრეტულად კერამიკას ეხება, ჩასმულია მარავალფეროვან კონტექსტში, რომელიც მხატვარ-კერამიკოსს შეიძლება წაადგეს თავის პროფესიულ საქმიანობისთვის. ეს არის ძირითადად დიზაინის სხვადასხვა მიმართულებები, რომლებშიც განსაკუთრებით გამოკვეთილია ინტერიერის დიზაინი იმიტომ, რომ მხატვარ-კერამიკოსს ინტერიერის დიზაინი სჭირდება, როგორც დამხმარე სპეციალობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი პროდუქცია სხვადასხვა სივრცეებში არსებობს,როგორიც არის საჯარო სივრცეები, კერძო სახლების დიზაინი, ღია სივრცეები და ა.შ. ექსპერტმა პროგრამის დადებით მხარეებში დაამატა ისიც, რომ 24 კრედიტი ეთმობა უცხო ენის შესწავლას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს უცხოურენოვანი კურსების მოსმენაში და უნარების გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამაში მოცემულია თეორიული საკითხებიც საკმაოდ კარგად და მაღალ დონეზე. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას კარგი ჩამონათვალი აქვს როგორიც არის ვაშინგტონის, კალიფორნიის, ლედლენცის, სანდერლენდის. ეს არის დიდი ბირიტანეთის,ა შშ-ს და შვედეთის პროგრამული კატალოგები. რაც ყველაზე მთავარია ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ხელოვნების და დიზაინის დარგობრივი სტანდარტი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა ასევე იმას, რომ პროგრამა სტუდენტზე ორიენტირებულია, ხოლო აკადემიური პერსონალი ამ პროგრამის ძლიერი მხარეა, რადგან უმეტესობა მაღალი რეპუტაციის მქონე სპეციალისტია თავის სფეროსი და ამ მხრივ პროგრამას არ აქვს პრობლემა. ექსპერტმა ისაუბრა ასევე იმაზე, რომ პრაქტიკული მხარე და ბაზა მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში. თუმცა, მათ არ ჰქონდათ ფიზიკური ვიზიტი დაწესებულებაში, და ნახეს მხოლოდ

დოკუმენტები, სადაც წარმოდგენილი იყო რამდენიმე მაღალი დონის სახელოსნო, რომელთანაც უსდს აქვს მჭიდრო ურთიერთობა და სტუდენტები იქ გადიან პრაქტიკას.
პროგრამის განვითარებასთან და დახვეწასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ მცირე შენიშვნები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პირველ და მეოთხე კომპონენტებში აკმაყოფილებს პროგრამა ყველა სტანდარტს. რაც შეეხება მეორე სტანდარტს აქ აქვთ რამდენიმე შენიშვნა, კერძოდ, შეფასების მინიმალური ზღვრები დაკორექტირდეს, რომლებიც წარმოდგენილია სილაბუსებში. რაც შეეხება სილაბუსებს, ექსპერტი აღნიშნავს, რომ ინსტიტუცია აკამყოფილებს ყველა სტანდარტს შინაარსობრივი თვალსაზრისით. ლიტერატურაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დაყოფილი აქვთ ძირითად და დამხმარე ლიტერატურებად, აქვთ ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც დეფიციტშია ამ სფეროში და რიდერები. მათ არ ჰქონდათ საშუალება ენახათ რამდენად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და ონლაინ ლიტერატურა და რიდერები, თუმცა, ექსპერტი ვარაუდობს, რომ უსდს ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემა არ ექნება და ატვირთული ექნებათ ვებ-გვერდზე.
ექსპერტმა ისაუბრა ერთ-ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც დაწესებულებამ უარყო, ესაა სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების დაკორექტირება. დანარჩენ რჩევებს რაც შეეხებათ, ერთი რჩევაა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების რუბრიკაში აღიწეროს პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების და გარე მობილობის განხორციელების შესაძლებლობები.
დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების დაკორექტირებასთან დაკავშირებით ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ნამდვილად მიყვება მეტწილ სილაბუსებში მინისტრის მესამე ბრძანებას და ფიქრობს, რომ მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი იყო რამდენიმე ადგილას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავენ პროგრამას, ხოლო, ტექნიკურ ხარვეზს რაც შეეხება, მან თქვა, რომ ყველაფერი გასწორებული აქვთ, ხოლო სხვა დანარჩენ სილაბუსებსა და კურსებზე იტოვებენ უფლებას, რომ შეინახავენ იმ მიდგომას რაც აქვთ. რადგან არ ეწინააღმდეგებიან მესამე ბრძანებას.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 16:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ "გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:25 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით